ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5054699

ნომერი: AR1762393

თარიღი : 23.07.2020

გაცემის თარიღი : 05.08.2020

გაცნობის თარიღი : 05.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მიმინოშვილი პ/ნ 01015001043
- თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 23 ივლისს №AR1762393 განცხადებით მომართა ვალერი მიმინოშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 03

ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №70-ში, შპს "სამედიცინო ინოვაციების ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.010.089) საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ითხოვს საერთო ფართობად 9565.24 კვ.მ-ის ნაცვლად 14655.09 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 464.49 კვ.მ-ის ნაცვლად 356.92 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 658.72 კვ.მ-ის ნაცვლად 806.59 კვ.მ-ის, სარდაფის ფართობად 996.09 კვ.მ-ის ნაცვლად 1025.33 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 510.91 კვ.მ-ის ნაცვლად 1576.98 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 4759.9 კვ.მ-ის ნაცვლად 6958.84 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 2175.13 კვ.მ-ის ნაცვლად 1838.10 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელი ასევე ითხოვს სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს კომერციული ფართობი - 173.56 კვ.მ., პალატების ფართობი - 1723.95 კვ.მ და საორდინატოროს ფართობი 194.82 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 14655.09 კვ.მ., საოფისე ფართობად - 356.92 კვ.მ., საზაფხულო ფართობად -806.59 კვ.მ., სარდაფის ფართობად - 1025.33 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1576.98 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 6958.84 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 1838.10 კვ.მ. სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს კომერციული ფართობი - 173.56 კვ.მ., პალატების ფართობი - 1723.95 კვ.მ და საორდინატოროს ფართობი - 194.82 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებით შეთანხმებული -4.00, 0.00, +3.60, +7.20, +10.65, +14.10, +17.55, +21.00, +24.45, +27.90, +31.35, +34.80 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის №5011092 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.